ASSESSMENT OF THE RELATIONSHIP BETWEEN THE SOCIAL,
PSYCHIC AND BIOLOGICAL IN HUMANS

Summary

It was proved by experiments that it is not sufficient to note only the social and biological factors to determine any human activity. A real driving force in this case is the psychic factor which reveals more or less the influence of the social and biological.



რ. გერულავა, ი. კვაჩანია

გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის არითმეტიკულ-
ლოგიკური სატერმინო სიტყვები „ხანმეტ ტექსტებში“

(წარმოადგინა აკადემიკოსმა შ. ძიძიურმა 8.7.1989)

გამოთვლით ტექნიკასა და ინფორმატიკაში დღეს გამოყენებული ტერმინები სათავეს იღებენ უძველეს სიტყვიერ ლექსიკაში, ფიქსირებულს მხოლოდ ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ხელნაწერში [1]. კერძოდ, ასეთი ძეგლებია V—VIII საუკუნეების „ხანმეტი ტექსტები“ [2] და იაკობ ცურტაველის „მუშანიკის წამება“ [3]. აქ მოცემული სიტყვების გრამატიკული ფორმა დღესაც უცვლელი საბითაა შენარჩუნებული. ძველქართულში ამგვარ სიტყვებს განსხვავებული მნიშვნელობით ხმარობდნენ. დღეს იმავე სიტყვებს დაეკისრათ გარკვეული დარგობრივი ტერმინების ფუნქციები. ამ გარემოებას პირველად დავაკვირდით ლექსიკოლოგიური მუშაობის პირველ ეტაპზე [4]. ძველქართულ ლექსიკურ ერთეულებთან დაკავშირებით, კერძოდ კი ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა სატერმინო სიტყვების შესახებ (V—X საუკუნეების ქართული ხელნაწერების მიხედვით) გამოვაქვეყნეთ ზოგიერთი მოსაზრება [5].

კომფიუტერული მეცნიერების (გამოთვლითი ტექნიკისა და დაპროგრამების მეთოდების) ქართული სატერმინო სიტყვებისათვის ზემოთხსენები ძეგლებიდან ვამოყვით მხოლოდ და მხოლოდ ოთხ სიტყვას: შეკრება-მიმატება [2], გამოკლება-შემცირება, სიტყვიდან „მცირე“ [3], უარყოფა („უვარისყოფა“ [3]) და ძვრა („ძრვაა“ [2]).

რამდენადაც გამოთვლით ტექნიკაში გამრავლება იცვლება შეკრებით და მარცხნივ ძვრით, გაყოფა კი გამოკლებითა და მარჯვნივ ძვრით, ამიტომ შემოვიფარგლეთ ოთხსიტყვიანი ტერმინოლოგიური სისტემით (შეკრება, გამოკლება, უარყოფა, ძვრა), თუმცა კი ძველქართულში გვაქვს სიტყვები „განყოფაა“ [2] (გაყოფის აღსანიშნავად) და „სიმრავლეა“ [2, 3], „გამრავლების“ საწარმოებლად.

1. მიმატება: „რომელსა ხაჭუნდეს მიხეცეს და მიხემატოს“. მათე, 13, 12 [2], გვ. 33, 19. შეკრება: „შეხეიკრიბი, სადა არა განსაზნევ“. მათე, 25, 24 [2], გვ. 59. „უმჯობეს არს ჩემდა ხელთა მისგან სიკვდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაა“. [3], გვ. 10. 2. ძრვაა: „იხილეს ძრვაა იგი“. მათე, 27, 54 [2], გვ. 60. „ძრვანი ადგიდ ადგიდ“. მათე 24, 7 [2], გვ. 56, 265. 3. მცირე, მცირელი (შემცირების, გამოკლების ცნების საწარმოებლად): „მცირეთი... მცირე არს“. მათე, 11, 30 [2], გვ. 28, 210; „ერთი მცნებათა ამთავანი მცირედთაა. მათე, 5, 19 [2], გვ. 9, 210. 4. უვარ-ყოფა: „უვარ ვყო იგი“. მათე, 10, 33 [2], გვ. 25, 239; „უვარ მყო მე“. მარკოზ, 14, 30 [2], გვ. 78, 239. უვარისყოფა: „უვარისყოფითა ჰეშმარტისა“ [3], გვ. 11. განვიხილოთ ცალ-ცალკე ეს სიტყვები.

პირველი სიტყვა (მიმატება). აქ ლაპარაკია საგანთა თუ ნივთთა მიმატებაზე. ეს სიტყვა ინფორმატიკაში დღეს ამავე აზრით იხმარება. მაგრამ ძველად სიტყვა „შეკრებაა“ პიროვნებათა შეხვედრის, თავმოყრის მნიშვნელობითაც იხმარებოდა.

მეორე სიტყვა (ძრვა). დღეს ამ სიტყვის ფორმაა „ძვრა“. ამ სიტყვას ფექტობრივად არ შეუცვლია ფუნქცია. მეტად საინტერესოა ძველქართული გამოთქმა „ძრვა აღდიღ ადვიღ“ (მათე, 27,54 [2]). როგორც აღვნიშნეთ, რიცხვების ძვრის ოპერაციები სრულდება გამრავლების და გაყოფისას. კერძოდ, ძვრა მარჯვნივ (გაყოფისას) და ხან მარცხნივ (გამრავლებისას); ესე იგი სრულდება „ადვიღ ადვიღ“ რიცხვების ძვრის ოპერაციები კომფიუტერში.


მესამე სიტყვა (მცირე; შე-მცირ-ების, გამოკლების ცნების საწარმოებლად). სიტყვა „მცირე“ ძველქართულში ნიშნავდა მსუბუქსაც და პატარასაც. დღეს კი ამ სიტყვას მინიმუმ სამი მნიშვნელობით მაინც ხმარობენ: მცირე, ის რაც (დანაწილებით, გამოკლებით ან დაყოფით) მიღებულია დიდი ნაწილისაგან; მცირე—ის, რაც თავისთავად მცირეა (ზომით, მოცულობით და სხვ.); მცირე — დაპატარავებით, შემცირებით ან დანაწევრებით მიღებული (ნივთი, საგანი, რაოდენობა და ა. შ.).

მეოთხე სიტყვა (უარ-ყოფა, უვარისყოფა). ამ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა ამ 1500 წლის მანიძლზე არ შეცვლილა. გამოთვლით ტექნიკასა და ინფორმატიკაში „უარყოფა“ გამოსახება ლოგიკური „არა“ ფუნქციით [7]. ძველქართულში „არა“ ფუნქციის მაგალითები უამრავია. მაგალითად, „არა ყოველ ხეოს“. (მათე, 5,18 [2]). „არა კაც ხელა“ (მათე, 5,21 [2]); „რომელ არა დაპკოლდეს“ (აქ: დაბრკოლდეს, მათე, 11,6 [2] და ა. შ.). პირველი წინადადების ლოგიკური ჩაწერისთვის აღვნიშნოთ ყოფნა („ხეოს“) A-თი, „ყოველ“-ი კი n-ით, მაშინ წინადადება ასე ჩაიწერება: \bar{A}_n სადაც \bar{A} ნიშნავს „არა A“-ს. ანალოგიურად მეორე წინადადებაში თუ „კაცის კვლა“-ს აღვნიშნავთ B-თი მაშინ მთელი წინადადება იქნება მხოლოდ ერთი სიმბოლო: \bar{B} . ლოგიკური უარყოფის შესაბამის ელექტრონულ სქემას უწოდებენ ინვერტორს, გამოთქმის (ან სიგნალის) შებრუნებას რომ ასრულებს [7]. დაფორმულეებულ გამოთქმათა შესაბამისი ლოგიკური სქემები მოცემულია სურ. 1-ზე.

ლოგიკური „შეკრების“ („მიმატების“) ოპერაცია ინფორმატიკაში. გამოსახება „ან“ ლოგიკური სიტყვით, „ან“ ტიპის ლოგიკით [7]. ორ A და B (ან რამდენიმე A, B, C, D,...) სიტყვას ან ერთი ტიპის გამოთქმას აერთებენ „ან“ კავშირით და ლებულობენ ლოგიკური „შეკრების“ S-შედეგს: $S=A+B+C+D+\dots$ მაგალითად, წინადადებისათვის „რომელ (n) ქალქსა (A) შეხვდეთ (S) ანუ (+) დაბას“ (B) (მათე, 10,11 [2]) გვექნება $S=A_n+B_m$, სადაც m „რომელ სხვა“ დაბას სახელწოდების აღმნიშვნელია. „ან“ ტიპის ელექტრონულ სქემას კომფიუტერში უწოდებენ განცალკევების სქემას [7].

ლოგიკური „გამრავლების“ ოპერაციის საწარმოებლად ინფორმატიკაში იყენებენ ლოგიკურ სიტყვას „და“ [7], ამიტომ გამრავლების შედეგიც ერთიანია, განუყოფელია. მაგალითად წინადადება „ხეძიებდით (A) და ხზოთ (B)“ (მათე, 7,7 [2]) ტიპის წინადადება გამოსახება ასე: $A \times B$. ავიღოთ უფრო რთული წინადადება: „გარდმოხდა წვიმაჲ (A) და (x) წარმოხეცნეს მდინარენი (B) და (x) ქროდენ ქარნი (C) და (x) ხეცნეს სახლსა მას (D) და (x) ვერა („არა“-რ. ბ.) დახეცა“ (\bar{E}) (მათე, 7,25 [2]). აქ გვაქვს P გამრავლების გამოსახულება: $P=A \times B \times C \times D \times \bar{E}$. „ხიყენენ სიყმილნი (A) და (x) სრვანი (B) და (x) ძრვანი (C)“ (მათე, 24,7 [2]). ეს წინადადება ასე გამოსახება $P=A \times B \times C$ და სხვ. გამრავლების ლოგიკური ოპერაციის შემსრულებელ ელექტრონულ სქემას უწოდებენ დროში თანხვედრის (ან დამთხვევის) სქემას [7]. საინტერესოა საწარმოები ლოგიკური გამოთქმებიც. განვიხილოთ „და-არა“ „ან-არა“ („ანუ-არა“) ტიპის მაგალითები. 1. „ხხედვიდენ (A) და (x) არა ხედვიდენ

(\bar{A})“ (მათე 13,13 [2]), აქ გვაქვს გამოსახულება: $A \times \bar{A}$ (ამას უწოდებენ წინა-
 აღმდგომობის კანონს [7]). „ხესმის (B) და (x) (ხესმის \bar{B})“ (მათე 13,13
 [2]); აქ გვაქვს ანალოგიური გამოსახულება: $B \times \bar{B}$; 2. „ანუ (+) არა დედასა
 მისსა (\bar{A}) ხრჭვან მარიამ (B)“ (მათე, 13,55 [2]) გამოსახება ასე: $\bar{A} + B$ და
 სხვ.



სურ. 1. ძველქართულ გამოთქმათა ლოგიკურა დაფორმულება და
 ბლოკ-სქემური გამოსახვა

ამრიგად, V—VII სს. ქართულ ხელნაწერებში არსებული სიტყვების („შე-
 კრებაჲ“, „შემცირებაჲ“, „უვარის-ყოფა“, „ძრვაჲ“ და აგრეთვე „და“, „ან“,
 „არა“, „და-არა“, „ან(უ)-არა“) და მათზე დაფუძნებული გამოთვლითი ტექ-
 ნიკის სასისტემო ტერმინების (შეკრება, გამოკლება, უარყოფა, ძვრა და
 ჯ. ბულის ლოგიკური ელემენტების) შემოღწეული ანალოგი გვიჩვენებს
 ტერმინთშექმნის ფართო შესაძლებლობებს, რაც ქართული ტექსტების და-
 ფორმულების საშუალებას იძლევა ბულის გამოთქმათა ალგებრის გამოყენე-
 ბით და, მასასადამე, ქმნის შესაბამისი ლოგიკური ბლოკ-სქემების აგების და
 კომფიუტერულ სქემებში რეალიზაციის პირობებს.

- ე. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
 სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი
 მათემატიკის ინსტიტუტი

P. G. BERULAVA, I. I. KVACHAKHIA

 ЛОГИКО-АРИФМЕТИЧЕСКИЕ ТЕРМИННЫЕ СЛОВА
 ВЫЧИСЛИТЕЛЬНОЙ ТЕХНИКИ И ИНФОРМАТИКИ
 В «ХАНМЭТНЫХ ТЕКСТАХ» (V—VIII ВВ.)

Резюме

Грузинские эквиваленты некоторых системных терминов вычислительной техники и информатики происходят от лексики, зафиксированной в V—VIII веках в древнегрузинских рукописях.

Выделены и проанализированы четыре слова: „შეკრება“ (сложение), „შემცირება“ (уменьшение, убавление-вычитание), „უვარის-ყოფა“ (отрицание) и „ძრვა“ (сдвиг). Эти слова совместно со древнегрузинскими словами „და“ («И»), „ან“ («ИЛИ»), „არა“ («НЕ», нет) и „და-არა“ («И-НЕ»), „ან(უ)-არა“ («ИЛИ-НЕ»), ставшие системными терминами в компьютерной технике и информатике, являются основными элементами арифметических действий и высказываний логики Дж. Буля для компьютеров. Приведенный анализ показывает широкие терминообразовательные возможности, позволяющие сформулировать грузинские тексты по булевой алгебре и построить соответствующие логические блок-схемы с возможностью их реализации в компьютерных схемах.

LINGUISTICS

R. G. BERULAVA, I. I. KVACHAKHIA

 ARITHMETIC-LOGICAL TERMINOLOGICAL WORDS OF COMPUTER
 SCIENCE IN “KHANMETI TEXTEBI” (V—VIII cc.)

Summary

Georgian equivalents of some computer science terms date back to the V—VIII cc. when they appeared in old Georgian manuscripts. Some terminological and systematic words, such as „შეკრება“ (addition), „შემცირება“ (subtraction), „უვარის-ყოფა“ (negation) and „ძრვა“ (shift) are singled out and analysed in them. Later these words turned into systematic terms. Now they represent elements of modern computer science arithmetic-logical operations and logical utterance.

The considered analysis shows strong possibilities of term creation, which permit formulation and logical circuit realization of the oldest Georgian texts using J. Boole's logical expressions.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. რ. ბერულავა, ი. ქვაჩახია, „ენათმეცნიერება“, II. მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1988, 12—14.
2. ხანმეტი ტექსტები. ნაკვ. I. თბილისი, 1984.
3. იაკობ-ხუცესი. შუშანიის წამება. ქართული პროზა, წიგნი I. თბილისი, 1982.
4. რ. ბერულავა, ი. ქვაჩახია (შემდგენლები). ინგლისურ-ქართული ლექსიკონი გამოთვლით ტექნიკასა და მონაცემთა დამუშავებაში. ნაწ. I. თბილისი, 1984, 5—8.
5. რ. ბერულავა. მეცნიერება და ტექნიკა, № 5, 1984.
6. ამონიოს ერმისის თხზულებანი ქართულ მწერლობაში. თბილისი, 1983.
7. რ. ბერულავა. ადამიანი, კომპიუტერები, რობოტები და თანამედროვეობა. თბილისი, 1988, 75—77.



კ. გაბუნია

-მ- ნაცვალსახელური ძირის უმსახებ ქართულურ ენებში

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბ. ჯორბენაძემ 7.9.1989)

ჩვენებით ნაცვალსახელებს ქართულში გარკვეული თავისებურებანი ახასიათებთ: ისინი ორ სხვადასხვა ფუძეს გვიჩვენებენ ბრუნვათა ფორმების წარმოებისას; ესენია მონაცვლე ფუძეები [1,101].

„ეს“ ნაცვალსახელს სხვა ბრუნვებში „ამა“ ენაცვლება; „ის // იგი“ ნაცვალსახელებს, შესაბამისად, — „იმა“. ისევე, როგორც ოპოზიციაში — „ეს“ — „ის“, „ამა“ — „იმა“ დაპირისპირებაშიც ხმოვანი თავსართები ფუნქციონირებენ: — ს — ძირთან დეიქტურ ხმოვანთა ე — ოპოზიცია გვაქვს, — მ — ძირთან — ა/ე — ი.

სხვა ქართველურ ენებში გარკვეულად არაერთგვაროვანი სურათია. ზანურის მეგრულ დიალექტში -თ-, -მ- ძირები ფუნქციებს ინაწილებენ: ჭანურის ათინურ კილოკავში „ჰამ“ — „ჰიმ“ დაპირისპირება გვაქვს ყველა ბრუნვაში („ჰამ“, „ჰამუქ“, „ჰამუს“ — „ჰიმ“, „ჰიმუქ“, „ჰიმუს“); ვიწურ-არქაბულსა და ხოფურში -მ- ძირი სახელობითში არა გვაქვს. სხვა ბრუნვებში ეს ძირი ა—ე ხმოვანთა ოპოზიციითა წარმოდგენილი [2, 135.]

სვანურში -მ- ძირი წარმოდგენილია სახელობითის გარდა ყველა ბრუნვაში: „ამის“, „ამნემ“, „ამნოშ“, „ამნარდ“, „ამნემიშ“ // „ამიშ“ [3,232]. მთქმელისგან შორს პოზიციის ამსახველ ნაცვალსახელებში -მ- ძირი არ დასტურდება.

ქართულისა და ზანურის ნაცვალსახელთა და ზმნისართთა სისტემებში დეიქტური ხმოვნები ასე ნაწილდებიან: ქართული — ა/ე — ი; ზანური — ა — ე/ი [2,135].

-მ- ძირიან ნაცვალსახელებშიც ხმოვან თავსართთა განაწილება ამგვარ ხასიათს ატარებს.

-მ- ძირი ამა თუ იმ განხილვებით ზმნისართთა სისტემაშიც ფუნქციონირებს ზანურსა და სვანურში.

მეგრულში დროის ზმნისართები: „ამდლა“, „ამსერი“, იმუსერი“ — თავისებურად იწარმოება; მთქმელთან ახლოს მიმართების ამსახველი ჩვენებითი ნაცვალსახელია — „ათე“. მოსალოდნელი იყო ამ ნაცვალსახელის ხმარება „დლას“, „სერი“ ფორმებთან. ხდება საინტერესო მოვლენა: თუ მსაზღვრელად რიცხვითი სახელია (ან ზედსართავი სახელი), „დლა“ ფუძე მიცემით ბრუნვაში ფორმდება; „ამ“, „იმ“ ნაცვალსახელი როცა მსაზღვრელად გვევლინება, „დლა“, „სერი“ სახელობითის ფორმით წარმოგვიდგება. შდრ.: „გედირთ ბოშიქ მაჟირა დლას“ — ადგა ბიჭი მეორე დღეს; „შქასერს ქიჭანთ ფაჟთონი ვაჭარქ“ — შულამეს დაიბარა ეტლი ვაჭარმა; „მეუტრს ე ბალანა ამდლა“ — მიღის ეს ბავშვი დღეს“. „იმუსერი ოშქარი ჯიმაქ მიდართუ ოდარაჯუშა“ — იმ დამეს საშუალო ძმა წავიდა სადარაჯოდ.

ჭანურში „ამ — ემ“ ნაცვალსახელები, ჩვეულებრივ, სახელობითის გარდა ყველა ბრუნვაში გვხვდებიან; ამდენად, სრულიად ბუნებრივია ისეთ ფორმათა არსებობა, როგორცაა: „ემ ვახთის“ — იმ დროს; „ამ ორას“ — ამ დროს და სხვა.

საინტერესოა, რომ „ღღას“, „სერის“ // „სეის“ ფორმები მიცემითში დგას, როცა წინ მსაზღვრელად რიცხვითი სახელი უძღვის: „არ ღღას“ — ერთ ღღეს; „არ სეის“ — ერთ ღამეს... თუკი მსაზღვრელი „ამ“ ან „იმ“ ნაცვალსახელია, ორი შემთხვევა განირჩევა: ა) „ამ“, „ემ“ — მიცემითი ბრუნვის ფორმას დაერთვიან — „ემ ღღას“ — იმ ღღეს; „ამ სერის“ — ამ ღამეს; „ემ სერის“ — იმ ღამეს... ბ) „ამ“ (— „ან“), „ემ“ — სახელობითი ბრუნვის ფორმას დაერთვიან: „ანღღა“ (— „ამღღა“) — ღღეს, „ემსერი“ — იმ ღამეს (სიტყვასიტყვით — „იმღამ“).

სევანურში „ამ“ გვხვდება როგორც ნაცვალსახელების სხვადასხვა ბრუნვის ფორმებში, ასევე ზმნისართებში. ყველა შემთხვევაში იგი მოქმედთან ახლოს პოზიციის ამსახველია: „ამე“ — აქ; „ამნემ“ — ამა; „ამის“ — ამას; „ამჩუ“ — აქ; „ამლა“ — ამაზე; „ამხვე“ — აქეთ; „ამხან“ — აქედან...

ამჟამად ხმოვანი თავსართები სევანურში არ წარმოადგენენ სიახლოვესიშორის ოპოზიციას: ამ ფუნქციას ძირთა სუბლექტური მონაცვლეობა ასრულებს — ერთი მხრივ, „ალა“, მეორე მხრივ — „ეჯი“ ძირი [3,238].

სევანურში სხვა ქართველურ ენათაგან განსხვავებული პრინციპია გატარებული. მართალია, ქართულსა და ზანურშიც იცვლება რიგ შემთხვევებში ძირეული თანხმოვანი (მაგალითად, ქართულში — „ეს“ სახელობითში, სხვა ბრუნვებში — „ამ“), მაგრამ ხმოვან თავსართთა ოპოზიცია ყველგან ფუნქციონირებს. ეს, თავისთავად, ბადებს საკითხს, ხომ არ არის სევანურის ვითარება მეორეული.

სევანურში ი- თავსართით გაფორმებული -მ- ძირიც გვხვდება; „იმე“ — სად; „იმი“ — როგორ; „იმხან“ — საიდან; „იმთე“ — საით; „იმავე“ — საით; „იმილა“ — რატომ... ყველა შემთხვევაში მოქმედთან სიახლოვე-სიშორის თვალსაზრისით ნეიტრალური პოზიცია აისახება. ხომ არ არის „იმ“ ძირიანი სევანური ფორმების ამჟამინდელი მნიშვნელობა სემანტიკური გადააზრებების შედეგი? ამ კითხვის დასმის საფუძველს ქართველურ ენათა ნაცვალსახელების სტრუქტურული ერთგვარობა იძლევა.

სევანურშიც და ზანურშიც -მ- ძირიანი ნაცვალსახელები ფუნქციონირებენ. ზანურში „იმ“ ფორმის გვერდით „ემ“ გვხვდება, რაც ზანურის დეიქტური გახმოვანების თავისებურებას წარმოადგენს. ნასესხობასთან რომ გვექონდა საქმე, დაპირისპირებას ა/ე — სახე ექნებოდა (ქართულის დეიქტური გახმოვანება). სევანურშიც „ამ“ ნაცვალსახელის ხმარება „ირიბ“ ბრუნვებში სესხების მტკიცების საფუძველს არ იძლევა: ჯერ ერთი, მოულოდნელი ჩანს ერთი სისტემის („ამ“ — იმ“ ოპოზიციის) ორი ელემენტიდან ერთ-ერთის შეთვისება მეორე ენაში იმავე მნიშვნელობით, რაც მას პირველში აქვს, ხოლო მეორე ელემენტის სხვა სემანტიკით ხმარება; მეორეც — „ალა“ ნაცვალსახელის ბრუნების ტიპი განსხვავებულია „ეჯი“ ნაცვალსახელის ბრუნების ტიპისგან — არაერთგვაროვანი პრინციპია გატარებული „ალა“ მისდევს ქართულის ტიპს (ძირთა სუბლექტური მონაცვლეობა) „ეჯი“ კი ასწორებს მთელ პარადიგმას სახელობითის ფუძეზე [4,101].

როგორც ჩანს, სამივე ქართველურ ენაში უნდა ყოფილიყო ძირთა სუბლექტური მონაცვლეობის პრინციპი გატარებული III პირის ნაცვალსახელთა ბრუნებაში. საერთო „სამივე“ ქართველური ენისათვის უნდა ყოფილიყო -მ- ძირიანი ნაცვალსახელები.

-მ- ძირიანი ფორმების პარადიგმატული მიმართება -გ-, -ს-, -თ-, -ნ-, -ლ- თანხმოვანთა შემცველ ნაცვალსახელებთან უთუოდ უკავშირდება ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციების ისტორიული ურთიერთმიმართების საკითხს ქართველურ ენებში.



„ამ“, „იმ“ ფორმათა გარდა, ქართულში გვაქვს უხმოვნო ვარიანტი „მა“ (შდრ. ზანურის „მუ“), რომელიც მოქმედთან მიმართებით ნეიტრალური პოზიციის ამსახველი უნდა ყოფილიყო [2,62] ერგატივში გამოიყოფა -ნ- ელემენტი, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. არნ. ჩიქობავა [5,178], ჰ. შუხარდტი [6,33], ა. შანიძე [1,64] -ნ-ს მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად მიიჩნევენ. განსხვავებულ თვალსაზრისს გამოთქვამს ბ. კიკვიძე: მისი აზრით, -ნ- დეტერმინანტი სუფიქსის ნაშთია [7,62]. დ. მელიქიშვილი -ნ-სთან ერთად წინამავალ ხმოვან ელემენტსაც გამოყოფს დეტერმინანტად: მ-ან, ხოლო ბოლოციდურ ა-ს ნართაულ ხმოვანად მიიჩნევს [8,50]. „მან“, „მას“, „მით“ ფორმებში დ. მელიქიშვილი გამოყოფს VC სტრუქტურის მქონე სუფიქსებს — მათ სადეტერმინაციო ფუნქცია გააჩნიათ. მისი აზრით, ანალოგიური ვითარებაა „ვინ“ ნაცვალსახელთან [8,50]. მაგრამ აქ წინააღმდეგობა იჩენს თავს: „ვის“ ფორმა მიცემითში არ იძლევა საშუალებას, გამოვეყო სუფიქსისეულად ძირეული -ი- (შდრ. ზანურში „მის“ — მიცემითი, „მივ“ — ნათესაობითი); ამდენად, დეტერმინანტია -ნა და ბოლოციდური -ა არ შეიძლება ჩაითვალოს უფუნქციო ხმოვანად [9,88]. ანალოგიურობა -და აფიქსის ფუნქციონირება ზმნისართებში, შდრ.: ზე-ნა — ზე-და, ქუე-ნა — ქუე-და...

საინტერესოა „მან[ა]“ ნაცვალსახელის პარადიგმატული მიმართება ერთი მხრივ, „მას“, „მის“, „მით“ და სხვა ფორმებთან, ხოლო მეორე მხრივ, სუბლექტურად მონაცვლე სახელობითის ფუძესთან.

ქართველურ ფუძე = ენაში უძველეს ეტაპზე არნ. ჩიქობავა გამოორიხავდა ერგატივისა და ნომინატივის არსებობას. მისი აზრით, ამ ბრუნვათა ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა ინდეფინიტიური კონსტრუქცია, სადაც არ იყო ფორმობრივ გარჩეული მოქმედისა და სამოქმედოს სემანტიკური ოპოზიცია: „მან[ა]“ ნაცვალსახელი ისევე იხმარებოდა, როგორც „ვინ“. „მან[ა]“ არ იყო არც ერგატივი, არც ნომინატივი.

ერგატივისა და ნომინატივის წარმოქმნა გამოიწვია მოქმედი — სამოქმედოს სემანტიკური ოპოზიციის ფორმობრივი რეალიზაციის საჭიროებამ. ეს საჭიროება კი უპირველესად III პირის ფორმებში უნდა გაჩენილიყო.

ქართულში შემორჩენილია ინდეფინიტიური ბრუნვის ფორმები I და II პირის ნაცვალსახელებთან — „მენა“, „შენა“ ფორმებით წარმოდგენილი. მათ წარმოების ტიპის მიხედვით გვერდში ამოუდგება „მანა“ (-ნ[ა] დეტერმინანტი აღდგება: ზანურშიც — „მა-[ნ]“, „სი-[ნ]“, „მუ-[ნ]“). ყველა შესაძლო კომბინაციათაგან: „მენა — მანა“, „მანა — მენა“, „შენა — მანა“, „მანა — შენა“, მენა — შენა“, „შენა — მენა“, „მანა — მანა“ — მხოლოდ ამ უკანასკნელში ხდება „მოქმედისა“ და „სამოქმედო საგნის“ გამომხატველ ფორმათა დამთხვევა — ისინი ფორმობრივ იდენტურნი არიან.

არნ. ჩიქობავას აზრით, ქართველურ ენებში პირველი სერიის ნაკვთა ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა II სერიის ნაკვთეულთა წარმოება [10,22]. უწინდელ აორისტსა და პერმანსივთან უკვე უნდა მომხდარიყო ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემიდან სესხება ელემენტებისა (ესე, ისი, ეგე, იგი ფორმები); ამრიგად, გარდამავალი ზმნის სინტაქსური კონსტრუქცია შემდეგნაირი უნდა ყოფილიყო: ზმნური ფორმა აორისტსა ან პერმანსივში+მანა+ესე /ისი/ ეგე/იგი. შესაბამისად, გარდაუვალი ზმნის კონსტრუქციაში „მანა“ შეცვალა აქტივის სამოქმედო ობიექტის ფორმამ — შემდგომ პირის ნაცვალსახელის სახელობითის ფორმად სახელდებულმა.

ანალოგიური ვითარება უნდა ყოფილიყო ზანურსა და სვანურში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემები ამ ენებში მასა-

ლობრივ სხვა ძირებით არის წარმოდგენილი. პრინციპი სამივეგან ერთი
ერგატეში -მ- ძირიანი ფორმა გვაქვს, ხოლო ნომინატივის გამოსახატავად
ჩვენებითი ნაცვალსახელის ფორმებია აღებული.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

(შემოვიდა 7.9.1989)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

К. А. ГАБУНИЯ

О ВОПРОСЕ МЕСТОИМЕННОГО КОРНЯ -m- В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

Резюме

В картвельских языках функционируют местоимения с корнем -m-, озвученные гласными a/e/i. Распределение гласных префиксов создает оппозицию с точки зрения близости-удаленности. Во всех картвельских языках в составе личных местоимений 3-го лица выделяется корень -m-.

LINGUISTICS

K. A. GABUNIA

ABOUT THE PRONOUN ROOT "M" IN KARTVELIAN LANGUAGES

Summary

The root element -m- is separated in the demonstrative pronouns of all Kartvelian languages. a/e/i prefixes are added to the element -m-. These vowel prefixes express "near the speaker" and "far from the speaker" positions.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები. თბილისი, 1953.
2. ნ. ჩართოლანი. ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემები ქართულში სხვა ქართველურ ენებთან შედარებით. თბილისი, 1985.
3. ვ. თოფურიია. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები ქართველურ ენებში. შრომები, ტ. 3, თბილისი, 1979.
4. ჯ. მაჭავარიანი. ბრუნების ერთი ტიპის გენეზისისათვის სვანურში. თსუშ, ტ. 93, 1960.
5. არნ. ჩიქობავა. მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში. თსუშ ტ. 10, თბილისი, 1929.
6. Г. А. Шухардт. Сб. „Эргативная конструкция предложения.“ М., 1950.
7. ბ. კიკვიძე, ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1960, № 2.
8. დ. მელიქიშვილი. კრ. „ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან“ თბილისი, 1980.
9. გ. ბურჭულაძე. ბრუნვათა შედგენილობა და არსებით სახელთა ბრუნების პროცესების ძირითადი საკითხები ლაკურ ენაში. თბილისი, 1986.
10. არნ. ჩიქობავა. ენიმკის მოამბე, № 12, 1942.

6. ანოზაძე

საქართველოს გლეხობის ბრძოლა ვაჰრაგვის, კულაკების,
მეფასუბებისა და სოფლის მოხელეების წინააღმდეგ
(1910—1917 წწ. თემატრავალი)

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ი. კაჭარავამ 5.1.1990)

საქართველოს სოფელში გაშლილ აგრარულ-კლასობრივ ბრძოლას მდიდარი ისტორიული წარსული აქვს. საქართველოს გლეხები სოციალური და ეროვნული უსამართლობის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლებს აწარმოებდნენ. მწვავე ბრძოლებში ჩაიარა XX საუკუნის დასაწყისმა. საქართველოს სოფელში მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა, ბრძოლის პასიურ ფორმებს აქტიური ცვლიდა, ხდებოდა პირიქითაც, გლეხთა მოძრაობის აღმავლობას დაღმავლობა მოჰყვებოდა, იცვლებოდა მისი დინამიკა, ისტორიული ვითარება კლასობრივი ბრძოლის ახალ ფორმებს წარმოშობდა. გაძლიერდა გლეხთა მოძრაობის ისეთი ფორმები, როგორც იყო ბეგარა-გადასახადებზე უარის თქმა, აგრარული ტერორი, ჩარჩ-ვაჭრებზე, მეფასუბებსა და სოფლის მოხელეებზე ტერორისტული თავდასხმები და სხვ.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელშიაც აღმოჩნდა საქართველოს გლეხობა, აიძულებდა მას ფართოდ მიემართა სესხის აღებისათვის. სესხის გამცემნი უპირატესად მდიდარი გლეხები, ჩარჩ-ვაჭრები იყვნენ. ისინი სოფელს მჩაგვრელებად მოეცილნენ. მათ მიერ მშრომელი გლეხობის ექსპლუატაციამ, ძარცვა-გლეჯვამ არნახული მასშტაბი მიიღო. ფულიანი გლეხები თემის წევრებს მეფასუბლებზე მეტად ავიწროებდნენ და ძარცვავდნენ. ისინი ფართოდ ეწეოდნენ მეფასუბობას, მოხერხებულად იყენებდნენ შექმნილ ვითარებას და არ უწყევდნენ ანგარიშს გლეხების მდგომარეობას. გაცემული სესხის დაბრუნებაზე გლეხები ვაჭარ-მეფასუბებს მიწას აძლევდნენ გირაოდ. მიწათმფლობელობისა და აგრარული ურთიერთობის განვითარების ხასიათზე სულ უფრო მეტ გავლენას ახდენდა სავანშო კრედიტი. სარგებელი სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა იყო. ფართოდ იყო გავრცელებული სესხის სარგებლის საზღაურად ადგილმამულის დაგირავება, აგირავებდნენ ვენახს, ხეხილის ბაღებს, სახნავ-სათეს მიწას, ორ სამ წელიწადში გლეხს ხელიდან ეცვლებოდა მისი მარჩენალი ვენახის ან ხეხილის ბაღები, დაგირავების ხელშეკრულება არსებითად მიწის გასხვისების აქტი იყო.

რევოლუციის შემდეგ საქართველოს სოფელში შექმნილი მწვავე ვითარება, სოციალურ-პოლიტიკური უსამართლობა, მემამულეთა თავნებობა, ბატონყმური ურთიერთობის გადმონაშთები, ეროვნული ჩაგვრა მეფის მოხელეებისა და ჩარჩ-ვაჭრების შეუზღუდველი მოქმედება, საქართველოს გლეხობას არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისაკენ უბიძგებდა. გლეხკაცობა ნათლად ხედავდა, რომ გაკულაკებული გლეხები, ჩარჩ-ვაჭრები, მეფასუბები, მემამულეებთან ერთად სოფლის მჩაგვრელ ძალას წარმოადგენდა. გლეხობამ ბრძოლა გამოუცხადა მას. ამ ბრძოლამ ერთობ მწვავე ხასიათი მიიღო 1910—1917 წწ. გლეხობის ერთი ნაწილი უარს ამბობდა სესხის დაბრუნებაზე

და ძალას მიმართავდა, ზოგჯერ კი იარაღით ცდილობდა დაებრუნებინა დაგორავებული მიწის ნაკვეთები. ამ ნიადაგზე აღმოცენებული ბრძოლა ხშირად სისხლიანი შეტაკებებითა და მსხვერპლით მთავრდებოდა. გლეხების მეორე ნაწილი, ორგანიზებულად, ჯგუფურად, ხშირად კი ცალ-ცალკე ახორციელებდა ტერორისტულ თავდასხმებს ვაჭრებზე, გაყულაკებულ გლეხებზე, რომლებიც ამავე დროს მევახშეებიც იყვნენ. შურისძიებით გამსჭვალული გლეხები ძარცვავდნენ, არბევდნენ სავაჭრო დუქნებს, იტაცებდნენ მათ ქონებას, ანადგურებდნენ ყველაფერს. რისი წაღებაც არ შეიძლებოდა.

1910 წ. 30 მაისს ქიათურაში გლეხები თავს დაესხნენ ვაჭარ აბესაძეს [1]. 31 მაისს სოფ. შუქრეთში (შორაპნის მაზრა) 12 კაცისაგან შემდგარმა შეიარაღებულმა რაზმმა გაძარცვა კვიციანძეებისა და გაფრინდაშვილების სავაჭრო [2], 5 ივნისს ოზურგეთში თავს დაესხნენ სავაჭრო დუქანს, ხოლო სენაკის მაზრაში გლეხებმა გაძარცვეს მევახშე გრიგოლ სანიციძე [3], წაართვეს 1000 მანეთი, სხვადასხვა ნივთები. 1911 წ. სოფ. ჩუმლოეთში (გორის მაზრა) გლეხებმა განახორციელეს თავდასხმა ვაჭარ მევახშეზე [4], გამოძახებულ იქნა პოლიციის რაზმები, მოხდა შეიარაღებული შეჯახება, დაიღუპა ერთი გლეხი. 1912 წ. 15 მარტს იარაღსხმულმა გლეხებმა სოფ. ნიგოზაში (გორის მაზრა) გაძარცვეს გაყულაკებული გლეხი ნიკოლოზ ბედოშვილი [5], დააპტიმრეს 6 კაცი. 1912 წ. 15 მარტს სოფ. ხიდისთავში (გორის მაზრა) დაარბიეს სავაჭრო დუქანი, ხოლო 1913 წ. თებერვალში ქვემო ჭალაში (გორის მაზრა) გაძარცვეს მდიდარი და შეძლებული გლეხები. 1913 წ. სოფ. ბაღდათში (ქუთაისის მაზრა) გლეხების ჯგუფმა გაიტაცა კაპიტალისტი ანანოვი [6].

ჩვენს მიერ მიკვლეული მასალებით 1914 წ. გორის მაზრაში ვაჭარ მევახშეებზე თავდასხმების 85, ხოლო 1915 წ. თელავის მაზრაში 98 შემთხვევაა რეგისტრირებული. 1916 წ. მხოლოდ თებერვალში სიღნაღის მაზრაში ვაჭარ-მევახშეთა ძარცვის 42 შემთხვევა აღინიშნა. ქუთაისის მაზრაში 1914 წ. ვაჭარ-მევახშეთა 75 დუქანი გაძარცვეს. იმატა ვაჭარ-მევახშეთა მკვლელობის შემთხვევებმა. 1913 წ. გორის მაზრაში მევახშეთა მკვლელობის მიზნით მოხდა 45 შეიარაღებული თავდასხმა, 1915 წ. — 48, ხოლო 1916 წ. 32. თელავის მაზრაში 1914 წ. ვაჭარ-მევახშეთა მკვლელობის მიზნით აღირიცხა 58 თავდასხმა, 1915 წ. — 82, 1916 წ. კი 69. ანალოგიური მდგომარეობა იყო სხვა მაზრებშიც. ქუთაისის მაზრაში 1914 წ. აღირიცხა ვაჭარ-მევახშეებზე თავდასხმის 58, 1915 წ. — 72, 1916 წ. კი 67 შემთხვევა. რაც შეეხება შორაპნის მაზრას, აქ 1914 წ. მოხდა მევახშეებზე თავდასხმის 45, 1915 წ.—72, 1916 წ. კი 40 შემთხვევა.

ხელისუფლების დასაყრდენს სოფლად მემამულეებთან ერთად წარმოადგენდა ადმინისტრაცია — მამასახლისები, ჩაფრები, ბოჭაულები, სოფლის სხვა მოხელეები. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ გლეხთა ჩაგვრაში და იცავდნენ გაბატონებული კლასებისა და მთავრობის ინტერესებს. მართალია, სოფლის მოხელეთა დიდი უმრავლესობა გლეხური წარმოშობისა იყო, მაგრამ მთელ ძალასა და შესაძლებლობას გლეხობის წინააღმდეგ ბრძოლასა და მემამულეების ინტერესების დაცვას ანდომებდნენ. მათ ევალებოდათ: აეკრიფათ ბეგარა-გადასახადები, თვალყური ედევნებინათ სოფლად მიმდინარე პროცესებისათვის, გლეხთა ურჩობის შემთხვევაში, თუ თვითონ უძლურნი იყვნენ, მაშინ საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინათ ხელისუფლების ზემდგომი ორგანოები. ხელისუფლებაც ვალში არ რჩებოდა, ერთგულად იცავდა სოფლად მოქმედი თავისი აგენტურის ინტერესებს. სოფლის მოხელეები არათუ არ იცავდნენ წესრიგსა და კანონს, არამედ ეწეოდნენ მექრთამეობას, ყალბი საბუთების შედგენას. სოფლის მოხელეთა თავნებობას სახლგარე არ ჰქონდა, რაც გლეხთა

სამართლიან გულისწყრომას იწვევდა. აღშფოთებული გლეხობა ხშირად უარს ამბობდა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში მაზრის სამმართველოს მიერ გამოგზავნილ კანდიდატურაზე.

აგრარული ბრძოლის სხვადასხვა ფორმის გაძლიერებასთან ერთად ძლიერდება მეფის ადგილობრივი მოხელეების წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა სახე — თავდასხმები, ვანზრახ მკვლელობა და სხვ. მისი საბაზი ყოველთვის ერთი იყო — სოციალური უსამართლობის ნიადაგზე აღმოცენებული წინააღმდეგობანი. სოფლად მემამულეებსა და გლეხებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში საქმეში ერეოდა მამასახლისი, ბოქაული, ჩაფარი. ისინი ყოველთვის, როგორც წესი, მხარს უჭერდნენ მემამულეებს, ეს კი გლეხების უკმაყოფილებასა და შურისძიების სურვილს იწვევდა. ამიტომ იყო, რომ გლეხობა მემამულეებსა და ხელისუფლებას შორის არსებით სხვაობას ვერ ხედავდა და არსებული წყობილების წინააღმდეგ პროტესტს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებზე თავდასხმებითა და ცალკეული ტერორისტული აქტებით გამოხატავდა.

1910 წ. 22 ივნისს გლეხების შეიარაღებული რაზმი სოფ. ძიმითში (შორაპნის მაზრა) თავს დაესხა ბოქაულს და სიცოცხლეს გამოასალმა იგი. სასიკვდილოდ დაჭრეს ჩაფარი. იმავე წელს სოფ. კლარცევში (გორის მაზრა) გლეხებმა მოჰკლეს მამასახლისი, სოფ. ძეგეში კი ბოქაული. 1911 წ. მარტში სოფ. ნაფარეულში (თელავის მაზრა) წითელრაზმელებმა სიცოცხლე მოუსწრაფეს ჩაფარ ტუტაშვილს, ხოლო ივნისში მოჰკლეს პოლიციის უფროსი პალმოვი და ბოქაული სანაკოვეი [7], 26 ივნისს გლეხების შეიარაღებული რაზმი თავს დაესხა მეფის მოხელეს სოფ. ნინოწმინდასა და საგარეჯოში. შეიარაღებულ ბრძოლაში დაიღუპნენ: მამასახლისი, ჩაფარი, ბოქაული [8]. სადგურ მიხაილოვოში სიცოცხლეს გამოასალმეს მეფის ოხრანის აგენტი [9]. 1912 წ. 19 აგვისტოს შეიარაღებული გლეხები თავს დაესხნენ თიანეთის ბოქაულს, 10 სექტემბერს აბანოსხევის მამასახლისს, 25 სექტემბერს სოფ. ნარეკავის (ღუშეთის მაზრა) ბოქაულს და სიცოცხლე მოუსწრაფეს მათ [10]. 1913 წ. ქარელში (გორის მაზრა) მოჰკლეს ბოქაული [11], 25 აგვისტოს თიანეთში სასიკვდილოდ დაჭრეს ორი ჩაფარი [12], იმავე დღეს იარაღსმული გლეხები თავს დაესხნენ ბაზალეთის ბოქაულს, 30 დეკემბერს თიანეთში გლეხებმა მოჰკლეს მამასახლისი. გლეხები ტერორისტულ თავდასხმებს ახორციელებდნენ მაღალი ჩინის მოხელეებზეც კი. 1913 წ. გორის მაზრაში მოჰკლეს მაზრის უფროსი ბლოუ [13]. 1913 წ. დეკემბერში გორის მაზრის უფროსი თბილისის გუბერნატორს წერდა: „მაზრაში თითქმის დღე არ არის, რომ არ მოხდეს ყაჩაღთა ან ბოროტმზრახველთა თავდასხმები“ [14]. მარტო სიღნაღის მაზრაში 1911—1914 წწ. მამასახლისებსა და სხვა მოხელეებზე თავდასხმების 120, ხოლო გორის მაზრაში 150 შემთხვევა აღირიცხა. ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართველოს სხვა მაზრებშიც.

მეფის მოხელეების წინააღმდეგ ბრძოლა ეს იყო არსებული წყობილების წინააღმდეგ აშკარად და აქტიურად გამოხატული პროტესტი და ეს ბრძოლა 1910—1917 წ. (თებერვალი) მწვავე და მასობრივ ხასიათს ატარებდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 ი. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის
 და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

Н. М. АХОБАДЗЕ

БОРЬБА ГРУЗИНСКОГО КРЕСТЬЯНСТВА ПРОТИВ КУПЦОВ,
КУЛАКОВ, РОСТОВЩИКОВ И СЕЛЬСКИХ ЧИНОВНИКОВ
(1910 — Февраль 1917 гг.)

Резюме

В истории Грузии 1910—1917 гг. значительное место занимает борьба сельских труженников против купцов, кулаков, ростовщиков и чиновников местной власти. Она выражалась в нападениях и убийствах сельских эксплуататоров, местных чиновников, старшин, участковых приставов и т. д. Обострение этой борьбы было выражением протеста против политики правительства.

HISTORY

N. M. AKHOBADZE

GEORGIAN PEASANTRY IN STRUGGLE AGAINST MERCHANTS,
USURERS AND OTHER EXPLOITERS IN GEORGIAN RURAL AREAS.
(1910—FEBRUARY, 1917)

Summary

In the history of 1910—1917 the struggle of Georgian peasantry against merchants, usurers and local officials plays a significant part. This struggle proceeded in various forms: assaults and murders of local exploiters, officials, etc. Aggravation the class struggle against village officials represents the struggle against government policy.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. „ჩვენი გაზეთი“, № 52, 1910.
2. „ჩვენი გაზეთი“, № 52, 1910.
3. „ჩვენი გაზეთი“, № 53, 1910.
4. საქ. ცსსა, ფ. 17, ანაწ. 2, საქ. 106, ფურც. 25.
5. საქ. ცსსა, ფ. 17, ანაწ. 2, საქ. 106, ფურც. 25.
6. საქ. ცსსა, ფ. 17, ანაწ. 2, საქ. 1089, ფურც. 85.
7. საქ. ცსსა, ფ. 3, ანაწ. 1, საქ. 455, ფურც. 25, 32—34.
8. საქ. ცსსა, ფ. 2, საქ. 1980, ფურც. 54.
9. საქ. ცსსა, ფ. 2, საქ. 1980, ფურც. 54, ფ. 8, საქ. 22, ფურც. 54.
10. საქ. ცსსა, ფ. 13, ანაწ. 2, საქ. 886, ფურც. 4.
11. საქ. ცსსა, ფ. 13, ანაწ. 2, საქ. 879, ფურც. 15.
12. საქ. ცსსა, ფ. 13, ანაწ. 2, საქ. 879, ფურც. 29.
13. საქ. ცსსა, ფ. 17, ანაწ. 2, საქ. 1089, ფურც. 90.
14. საქ. ცსსა, ფ. 17, ანაწ. 2, საქ. 1089, ფურც. 90.

ა ბ ტ ო რ ტ ა ს ა ყ უ რ ა დ ლ ე გ ო დ

1. ჟურნალ „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ ქვეყნდება აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა, აკადემიის სისტემაში მომუშავე და სხვა მეცნიერთა მოკლე წერილები, რომლებიც შეიცავს ახალ მნიშვნელოვან გამოკვლევათა ჯერ გამოუქვეყნებულ შედეგებს. წერილები ქვეყნდება მხოლოდ იმ სამეცნიერო დარგებიდან, რომელთა ნომენკლატურული სია დამტკიცებულია აკადემიის პრეზიდიუმის მიერ.

2. „მოამბეში“ არ შეიძლება გამოქვეყნდეს პოლემიკური წერილი, აგრეთვე მიმოხილვით ან აღწერითი ხასიათის წერილი ცხოველთა, მცენარეთა ან სხვათა სისტემატიკაზე, თუ მასში მოცემული არაა მეცნიერებისათვის განსაკუთრებით საინტერესო შედეგები.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა წერილები უშუალოდ გადაეცემა გამოსაქვეყნებლად „მოამბის“ რედაქციას, ხოლო სხვა ავტორთა წერილები ქვეყნდება აკადემიკოსთა ან წევრ-კორესპონდენტთა წარდგინებით. როგორც წესი, აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს „მოამბეში“ დასაბუღლად წელიწადში შეუძლია წარმოადგინოს სხვა ავტორთა არა უმეტეს 12 წერილისა (მხოლოდ თავისი სპეციალობის მიხედვით), ე. ი. თითოეულ ნომერში თითო წერილი. საკუთარი წერილი — რამდენიც სურს, ხოლო თანაავტორებთან ერთად — არა უმეტეს სამი წერილისა. გამონაკლის შემთხვევაში როცა აკადემიკოსი ან წევრ-კორესპონდენტი მოითხოვს 12-ზე მეტი წერილის წარდგენას, საკითხს წყვეტს მთავარი რედაქტორი. წარდგინების გაერაშე შემოსულ წერილს „მოამბის“ რედაქცია წარმოსადგენად გადასცემს აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს. ერთსა და იმავე ავტორს (გარდა აკადემიკოსისა და წევრ-კორესპონდენტისა) წელიწადში შეუძლია „მოამბეში“ გამოაქვეყნოს არა უმეტეს სამი წერილისა (სულ ერთია, თანაავტორებთან იქნება იგი, თუ ცალკე).

4. წერილს აუცილებლად უნდა ახლდეს ჟურნალ „მოამბის“ რედაქციის სახელზე იმ სამეცნიერო დაწესებულებების მონაბრთვა, სადაც შესრულებულია ავტორის სამუშაო.

5. წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, დასაბუღლად საცემბით მზა სახით, ავტორის ხურჯილისამებრ ქართულ, რუსულ, ან ინგლისურ ენაზე. ქართულ ტექსტს თან უნდა ახლდეს რუსული და მოკლე ინგლისური რეზიუმე, რუსულ ტექსტს — ქართული და მოკლე ინგლისური რეზიუმე, ხოლო ინგლისურ ტექსტს — ქართული და მოკლე რუსული რეზიუმე. წერილის მოცულობა ილუსტრაციებითურთ, რეზიუმეებითა და დამოწმებული ლიტერატურის ნუსხითურთ, რომელიც მას ბოლოში ერთვის, არ უნდა აღემატებოდეს ჟურნალის 4 გვერდს (8000 სასტამბო ნიშანი), ანუ საწერ მანქანაზე ორი ინტერვალით გადაწერილი 6 სტანდარტულ გვერდს (ფორმულეებიანი წერილი კი 5 გვერდს). არ შეიძლება წერილების ნაწილებად დაყოფა სხვადასხვა ნომერში გამოსაქვეყნებლად. ავტორისგან რედაქცია ღებულობს თვეში მხოლოდ ერთ წერილს.

6. აკადემიკოსთა ან აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა წარდგინება რედაქციის სახელზე დაწერილი უნდა იყოს ცალკე ფურცელზე წარდგინების თარიღის აღნიშვნით. მასში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, თუ რა არის ახალი წერილში, რა მეცნიერული ღირებულება აქვს მას და რამდენად უპასუხებს ამ წესების 1 მუხლის მოთხოვნას.

7. წერილი არ უნდა იყოს გადატვირთული შესავლით, მიმოხილვით, ცხრილებით, ილუსტრაციებითა და დამოწმებული ლიტერატურით. მასში მთავარი ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი საკუთარი გამოკვლევის შედეგებს. თუ წერილში გზადაგზა, ქვეთავების მიხედვით გადმოცემულია დასკვნები, მაშინ საჭირო არაა მათი გამეორება წერილის ბოლოს.

8. წერილი ასე ფორმდება: თავში ზემოთ უნდა დაიწეროს ავტორის ინიციალები და გვარი, ქვემოთ — წერილის სათაური. ზემოთ მარჯვენა მხარეს, წარმოდგენმა უნდა წააწეროს, თუ მეცნიერების რომელ დარგს განეკუთვნება წერილი. წერილის ძირითადი ტექსტის ბოლოს, მარცხენა მხარეს, ავტორმა უნდა აღნიშნოს იმ დაწესებულების სრული სახელწოდება და ადგილმდებარეობა, სადაც შესრულებულია შრომა.

9. ილუსტრაციები და ნახაზები წარმოდგენილ უნდა იქნეს ორ ცალად კონვერტით. ამასთან, ნახაზები შესრულებული უნდა იყოს კალკაზე შავი ტუსით. წარწერები ნახაზებს უნდა გაუკეთდეს კალკაზეფულად და ისეთი ზომისა, რომ შემცილების შემთხვევაშიც კარგად იკითხებოდეს. ილუსტრაციების ქვემო წარწერების ტექსტი წერილის ძირითადი ტექსტის ენაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალკე ფურცელზე. არ შეიძლება ფოტოებისა და ნახაზების დაწებება ღედნის გვერდებზე. ავტორმა ღედნის კიდებზე ფანქრით უნდა აღნიშნოს რა ადგილას მოთავსდეს ესა თუ ის ილუსტრაცია. არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ისეთი

ცხრილი, რომელიც შურნალის ერთ გვერდზე ვერ მოთავსდება. ფორმულები მელნით შეაფარდა უნდა იყოს ჩაწერილი ტექსტის ორივე ეგზემპლარში, ბერძნულ ასოებს — ქვემოთ და ქვემოთაა გან უნდა გაეყვას თითო ხაზი წითელი ფანქრით, მთავრულ ასოებს — ქვემოთ ორ-ორი ხაზი მარჯვნივ და ხაზი შავი ფანქრით, ხოლო არამთავრულ ასოებს — ზემოთ ორ-ორი პატარა ხაზი შავი ფანქრით. ფანქრითვე უნდა შემოიფარგლოს ნახევარწრით ნიშნაქებიც (ინდექსები და ხარისხის მაჩვენებლები). რეზიუმეები წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალ-ცალკე ფურცლებზე. წერილი არ უნდა იყოს ჩასწორებები და ჩამატებები ფანქრით ან მელნით.

10. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დაიბეჭდოს ცალკე ფურცელზე. საქირთა და ცულოქნეს ასეთი თანმიმდევრობა: ავტორის ინიციალები, გვარი. თუ დამოწმებულია საერთაშორისო შრომა, ვუჩვენოთ შურნალის შემოკლებული სახელწოდება, ტომი, ნომერი, გამოცემის წელი. თუ დამოწმებულია წიგნი, აუცილებელია ვუჩვენოთ მისი სრული სახელწოდება, გამოცემის ადგილი და წელი. თუ ავტორი საქიროდ მიიჩნევა, ბოლოს შეუძლია გვერდების ნუმერაციაც უჩვენოს. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს არა ანბანური წესით, არამედ დამოწმების თანმიმდევრობით. ლიტერატურის მისათითებლად ტექსტსა თუ შენიშვნებში კვადრატულ ფრჩხილებში ნაჩვენები უნდა იყოს შესაბამისი ნომერი დამოწმებული შრომისა. არ შეიძლება დამოწმებული ლიტერატურის ნუსხაში შევიტანოთ ისეთი შრომა, რომელიც ტექსტში მითითებული არ არის. ასევე არ შეიძლება გამოუქვეყნებელი შრომის დამოწმება. დამოწმებული ლიტერატურის ბოლოს ავტორმა უნდა მოაწეროს ხელი, აღნიშნოს სად მუშაობს და რა თანამდებობაზე, უჩვენოს თავისი ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

11. „მოამბეში“ გამოქვეყნებული ყველა წერილის მოკლე შინაარსი იბეჭდება რეფერატულ შურნალში. ამიტომ ავტორმა წერილთან ერთად აუცილებლად უნდა წარმოადგინოს მისი რეფერატი რუსულ ენაზე (ორ ცალად).

12. ავტორს წასაიეთხად ეძლევა თავისი წერილის გვერდებზე შეკრული კორექტურა მკაცრად განსაზღვრული ვადით (არაუმეტეს ორი დღისა). თუ დადგენილი ვადისათვის კორექტურა არ იქნა დაბრუნებული, რედაქციას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა ან დაბეჭდოს იგი ავტორის ვიზის გარეშე.

13. ავტორს უფასოდ ეძლევა თავისი წერილის 25 ამონაბეჭდი.

(დამტკიცებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ 10.10.1968; შეტანილია ცვლილებები 6.2.1969)

რედაქციის მისამართი: თბილისი 60, კუტუხოვის ქ. № 19; ტელ. 37-22-16, 37-86-42, 37-85-61

სათოსტო ინდექსი 380060

ბ ე ლ მ ო წ ე რ ი ს ი პ ი რ ო ბ ე ბ ი: ერთი წლით 22 მან. 80 კაბ.

К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ

1. В журнале «Сообщения АН ГССР» публикуются статьи академиков, члено-корреспондентов, научных работников системы Академии и других ученых, содержащие еще не опубликованные новые значительные результаты исследований. Печатаются статьи лишь из тех областей науки, номенклатурный список которых утвержден Президиумом АН ГССР.

2. В «Сообщениях» не могут публиковаться полемические статьи, а также статьи обзорного или описательного характера по систематике животных, растений и т. п., если в них не представлены особенно интересные научные результаты.

3. Статьи академиков и члено-корреспондентов АН ГССР принимаются непосредственно в редакции «Сообщений», статьи же других авторов представляются академиком или членом-корреспондентом АН ГССР. Как правило, академик или член-корреспондент может представить для опубликования в «Сообщениях» не более 12 статей разных авторов (только по своей специальности) в течение года, т. е. по одной статье в каждый номер, собственные статьи—без ограничения, а с соавторами—не более трех. В исключительных случаях, когда академик или член-корреспондент требует представления более 12 статей, вопрос решает главный редактор. Статьи, поступившие без представления, передаются редакцией академику или члену-корреспонденту для представления. Один и тот же автор (за исключением академиков и члено-корреспондентов) может опубликовать в «Сообщениях» не более трех статей (независимо от того, с соавторами она или нет) в течение года.

4. Статья обязательно должна иметь направление из научного учреждения, где проведена работа автора, на имя редакции «Сообщений АН ГССР».

5. Статья должна быть представлена автором в двух экземплярах, в готовом для печати виде, на грузинском или на русском языке, по желанию автора. К ней должны быть приложены резюме—к грузинскому тексту на русском языке, а к русскому на грузинском, а также краткое резюме на английском языке. Объем статьи, включая иллюстрации, резюме и список цитированной литературы, приводимой в конце статьи, не должен превышать четырех страниц журнала (8000 типографских знаков), или шести стандартных страниц машинописного текста, отпечатанного через два интервала (статьи же с формулами—пяти страниц). Представление статьи по частям (для опубликования в разных номерах) не допускается. Редакция принимает от автора в месяц только одну статью.

6. Представление академика или члена-корреспондента на имя редакции должно быть написано на отдельном листе с указанием даты представления. В нем необходимо указать: новое, что содержится в статье, научную ценность результатов, насколько статья отвечает требованиям пункта 1 настоящего положения.

7. Статья не должна быть перегружена введением, обзором, таблицами, иллюстрациями и цитированной литературой. Основное место в ней должно быть отведено результатам собственных исследований. Если по ходу изложения в статье сформулированы выводы, не следует повторять их в конце статьи.

8. Статья оформляется следующим образом: сверху страницы в середине пишутся инициалы и фамилия автора, затем—название статьи; справа сверху представляющий статью указывает, к какой области науки относится она. В конце основного текста статьи с левой стороны автор указывает полное название и местонахождение учреждения, где выполнена данная работа.

9. Иллюстрации и чертежи должны быть представлены в двух экземплярах в конверте; чертежи должны быть выполнены черной тушью на кальке. Надписи на чертежах должны быть исполнены каллиграфически в таких размерах, чтобы даже в случае уменьшения они оставались отчетливыми. Подрисовочные подписи, сделанные на языке основного текста, должны быть представлены на отдельном листе. Не следует приклеивать фото и чертежи к листам оригинала. На полях оригинала автор отмечает карандашом, в каком месте должна быть помещена та или

чая иллюстрация. Не должны представляться таблицы, которые не могут уместиться на одной странице журнала. Формулы должны быть четко вписаны чернилами в оба экземпляра текста; под греческими буквами проводится одна черта красным карандашом, под прописными — две черты черным карандашом снизу, над строчными — также две черты черным карандашом сверху. Карандашом должны быть обведены полукругом индексы и показатели степени. Резюме представляются на отдельных листах. В статье не должно быть исправлений и дополнений карандашом или чернилами.

10. Список цитированной литературы должен быть отпечатан на отдельном листе в следующем порядке. Вначале пишутся инициалы, а затем — фамилия автора. Если цитирована журнальная работа, указываются сокращенное название журнала, том, номер, год издания. Если автор считает необходимым, он может в конце указать и соответствующие страницы. Список цитированной литературы приводится не по алфавиту, а в порядке цитирования в статье. При ссылке на литературу в тексте или в сносках номер цитируемой работы помещается в квадратные скобки. Не допускается вносить в список цитированной литературы работы, не упомянутые в тексте. Не допускается также цитирование неопубликованных работ. В конце статьи, после списка цитированной литературы, автор должен подписаться и указать место работы, занимаемую должность, точный домашний адрес и номер телефона.

11. Краткое содержание всех опубликованных в «Сообщениях» статей печатается в реферативных журналах. Поэтому автор обязан представить вместе со статьей ее реферат на русском языке (в двух экземплярах).

12. Автору направляется корректура статьи в сверстанном виде на строго ограниченный срок (не более двух дней). В случае невозвращения корректуры к сроку редакция вправе приостановить печатание статьи или печатать ее без визы автора.

13. Автору выдается бесплатно 25 оттисков статьи.

(Утверждено Президиумом Академии наук Грузинской ССР 10.10.1968; внесены изменения 6.2.1969)

Адрес редакции: Тбилиси 60, ул. Кутузова, 19. телефоны: 37-22-16, 37-86-42, 37-85-61

Почтовый индекс 380060

Условия подписки: на год — 22 руб. 80 коп.

6¹⁰ / 75



ՅՆՆՈ 1 ՅՅԵ. 90 ՃՃՅ.
ЦЕНА 1 РУБ. 90 КОП.

И' ДЕК 76181